დანართი 1

„დამტკიცებულია“ 2020 წლის 30 ივლისის N02-09/101 ბრძანებით

კონკურსი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“
აცხადებს კონკურსს

შიდა აუდიტის სამსახურში აუდიტორის ვაკანტურ პოზიციაზე

კ ო ნ კ უ რ ს ი ს პოზიციის სრული დასახელება: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ აუდიტორის პოზიციაზე

ვაკანსიის ოდენობა: ერთი

საშტატო სტატუსი: საშტატო

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის N41

შრომის ანაზღაურება: 2300 ლარი;

სამუშაოს აღწერილობა:

ა) შიდა აუდიტის ობიექტის აჭარის ტელევიზია და რადიო-ს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ბ) შიდა აუდიტის ობიექტის სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების ობიექტური და საიმედო შეფასება მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან

შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით;

გ) აჭარის ტელევიზია და რადიოს პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობა ;

დ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ე) მონიტორინგის განხორციელება შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, ადმინისტრაციულ ორგანოთა კორესპონდენციების განხილვა; **ზ)**კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

დამატებით მოთხოვნები: კონკურსანტს უპირატესობა მიენიჭება თუ მას აქვს აუდიტორული საქმიანობის მინიმუმ 1 (ერთი) წლიანი გამოცდილება

უნარები

- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- -ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- კომუნიკაბელურობა;
- პრეზენტაბელურობა;
- ენერგიულობა;

დამატებითი უნარები:

- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

- უცხო ენ(ებ)ის ცოდნა (სასურველია).

საკონკურსო თემატიკა;

1. საქართველოს კონსტიტუცია;

2. მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონი;

3. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულება;

4. საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი;

5. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონი;

6. საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ

- განცხადება;
- (CV); - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამოტივაციო წერილი;
- ფოტოსურათი (3X4)
- დიპლომისა და კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლები;
- სამუშაო გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტები;

კონკურსის ეტაპები კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე კომისია გადაარჩევს კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დაუკავშირდება მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს;

მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება. გადაწყვეტილების მიღების ფორმა: განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით. განაცხადები მიიღება 2020 წლის 30 ივლისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით ელექტრონულად (HR@ajaratv.ge).

გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადა: 2020 წლის 30 აგვისტო.

შენიშვნა:

1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს სასურველი ვაკანტური პოზიციის დასახელება;

2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

საკონტაქტო პირი: ემზარ პაქსაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: 577908007

საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge